საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამკამიძე ანატოლი მიხეილის ძე

კამკამიძე ანატოლი მიხეილის ძე (7. VI. 1936, სოფ. ღარიხევი, ახლანდ. ხარაგაულის - მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1999, ლვოვი, უკრაინა), რუსეთის არმიის გენ.-პოლკოვნიკი (1992). 1957 დაამთავრა ოდესის კ. ვოროშილოვის სახ. სამხ. სასწავლებელი. მსახურობდა საბჭოთა ჯარების დაჯგუფებაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1970 დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია და დაინიშნა მოტომსროლელი პოლკის (1972), შემდეგ კი მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად (1974). გენ.-მაიორი 1976-იდან. 1984 მიენიჭა გენ.- ლ-ის წოდება. 1981–91 იყო კარპატისპირეთის სამხ. ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე. 1992 დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1992–93 იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი.

ლ. დოლიძე